წინასიტყვაობა

1. **შემუშავებულია** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის იურიდიული განყოფილების უფროსის გიორგი დიასამიძის მიერ;
2. **დამტკიცებულია** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის დირექტორის მიერ (დირექტორის 2023 წლის 16 ოქტომბრის ბრძანება №09-102/23);
3. **მოქმედებაშია** – დამტკიცებისა და შეთანხმების დღიდან;
4. **პერიოდული შემოწმება** – წარმოებს შემმუშავებლის მხრიდან არა უმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. **ცვლილებები და განახლება** – ცვლილებათა შეტანა და/ან განახლება წარმოებს წარმოქმნილ ცვლილებებეთან თავსებადობაში მოყვანის შედეგად.

ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებათა შეტანის, ვერსიის განახლების საფუძველი	**დამტკიცების თარიღი**	**შეცვლილი პუნქტები** (გვერდები)	**პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა**
ბუსსს ანრის დირექტორის 2023 წლის 16 ოქტომბრის ბრძანება №09-102/23 „შპს ბუსსა ანრის მონაცემების ახალ მეწარმეთა შესახებ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“	23.01.2024	ახალი ვერსია დამტკიცდა „შპს ბუსსა ანრის მონაცემების ახალ მეწარმეთა შესახებ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ 2023 წლის 16 ოქტომბრის №09-102/23 ბრძანების თანახმად, სადაც ტერმინი „გენერალური დირექტორი“ ჩანაცვლებულია „დირექტორი“-თ.	გიორგი დიასამიძე
2021 წლის 20 ივლისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N17; გენერალური დირექტორის 2021 წლის 20 ივლისის ბრძანება N81	20.07.2021	ამოღებულია უსდ-ს მიმართულებით განსაზღვრული წესები; ეთიკის კოდექსის N 2 ვერსია განსაზღვარს პსდ-ს და მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის ეთიკის კოდექსს	გიორგი დიასამიძე

შინაარსი

1. გავრცელების სფერო 5
2. მითითებები.... 5
3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები....5
4. ზოგადი დებულება.... 6
5. ეთიკის კოდექსის მიზნები, ამოცანები, სტანდარტები, ღირებულებები და ნორმები 7
6. ბუსსს ანრის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ეთიკის ნორმები 8
7. პროფესიული განათლების მასწავლებლის და ინსტრუქტორის ეთიკის ნორმები 9
8. ბუსსს ანრის პროფესიული სტუდენტის, მსმენელის ეთიკის ნორმები 12
9. პასუხისმგებლობა პროფესიული სტუდენტის, მსმენელის მიერ ეთიკის ნორმების დარღვევისათვის 13
10. პასუხისმგებლობა ეთიკის დარღვევისათვის 17
11. პერიოდული შემოწმების ფურცელი 20
12. გაცნობის ფურცელი.... 21
13. შეთანხმების ფურცელი.... 24

1. გავრცელების სფერო

1) წინამდებარე ნორმატიული დოკუმენტი წარმოადგენს შპს ბუსსს ანრის ეთიკის კოდექსს და ვრცელდება შპს ბუსსს ანრის მთელ პერსონალზე (როგორც საშტატო, ასევე მოწვეული თანამშრომლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, საწვრთნელი კურსების ინსტრუქტორები), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებზე და საწვრთნელი კურსების მსმენელებზე;
2) წინამდებარე ნორმატიული დოკუმენტი ინახება შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურში როგორ მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. ელექტრონული ვერსია გასაჯაროებულია სასწავლებლის შიდა ქსელში და ვებ-გვერდზე.
3) საჭიროებისამებრ, დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლიარის დაგზავნას აწარმოებს ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახური.

2. მითითებები

წინამდებარე ნორმატიული დოკუმენტის შემუშავებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები:

1) სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
2) სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
3) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;
4) პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტები;
5) ნდ N 2-010101 შპს ბუსსს ანრის წესდება;
6) ნდ N 2-010102 შპს ბუსსს ანრის შინაგანაწესი;
7) ნდ N 2-020101 შპს ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელო.

3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

1) **საწვრთნელ კურსი** - ბუსსს ანრის მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირებიც ცენტრში მიმდინარე მოკლევადიანი კურსი;
2) **მსმენელი** - ბუსსს ანრის მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირებიც ცენტრში მოკლევადიან, საწვრთნელ კურსებზე ჩარიცხული პირი;
3) **პროფესიული სტუდენტი** - პირი, რომელიც „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონითა და დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის გასავლელად (ტექსტში სტუდენტი);
4) **პროფესიული განათლების მასწავლებელი** - პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში;
5) **ინსტრუქტორი** - ბუსსს ანრის მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირებიც ცენტრში მოკლევადიანი, საწვრთნელი კურსების განმახორციელებელი პირი;

6) **პერსონალი** - საშტატო განრიგით და ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით ბუსსს ანრიში დასაქმებული პირი, მოწვეული თანამშრომელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, ინსტრუქტორი.
7) **ადმინისტრაციული პერსონალი** - დირექტორი, ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
8) **დამხმარე პერსონალი** - საშტატო განრიგით განსაზღვრული დამხმარე სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები, მათ შორის, ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირ(ებ)ი.

შემოკლებები:

1) **შპს ბუსსს ანრი (ტექსტში სასწავლებელი)** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი;
2) **ISO** – სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
3) **ხმს** – ხარისხის მართვის სისტემა;
4) **ხარისხის სამსახური** - შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახური.

4. ზოგადი დებულება

1) შპს ბუსსს ანრის ეთიკის კოდექსით განისაზღვრება სასწავლებლის პერსონალის, პროფესიული სტუდენტების და მსმენელების ქცევის სავალდებულო ნორმები, მოცემული ნორმების დარღვევის გამო გადაცდომის პირობები, ფარგლები და დისციპლინური წარმოების პროცედურები.
2) სასწავლო დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის, პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელებისათვის ეთიკის კოდექსის ხელმისაწვდომობას.
3) პერსონალი, პროფესიული სტუდენტი და მსმენელი ვალდებულია გაეცნოს ეთიკის კოდექსსა და არსებობის შემთხვევაში, მასში განხორციელებულ ცვლილებებს.
4) **სასწავლებლის საქმიანობა ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:**
   - მაღალ ხარისხს - სწავლების, სწავლის, წვრთნისა და სასწავლებლის ადმინისტრაციული საქმიანობის სფეროებში;
   - პროფესიულ და ინტელექტუალურ თავისუფლებას - ერთ-ერთი მთავარი ღირებულება, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს დაინტერესებულ პირებს სწავლისა და სწავლების პროცესში, ამასთანავე, უზრუნველყოს აზრის გამოხატვის თავისუფლება და კრიტიკული აზროვნების განვითარება;
   - სამართლიანობას - პიროვნების პატივისცემა და მისდამი სამართლიანი და მიუკერძოებელი მოპყრობა. სამართლიანობის პრინციპი საფუძვლად უდევს სასწავლებელში არსებულ სტანდარტებს და პროცედურებს პროფესიულ სტუდენტებთან, მსმენელებთან და პერსონალთან მიმართებაში;
   - ანგარიშვალდებულებას - მინიჭებული უფლებებისა და დაკისრებული მოვალეობების სრულფასოვანი განხორციელება;

- კეთილსინდისიერებას - თითოეული დასაქმებულის მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობის პირნათლად და გულისხმიერად შესრულება.

5. ეთიკის კოდექსის მიზნები, ამოცანები, სტანდარტები, ღირებულებები და ნორმები

5.1 ეთიკის კოდექსის მიზანია ჩამოაყალიბოს და დაამკვიდროს პრინციპები, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედოს სასწავლებლის პერსონალმა, პროფესიულმა სტუდენტებმა და მსმენელებმა.

ეთიკის კოდექსი არ მოიცავს ყველა შესაძლო ეთიკურ პრობლემას. მისი მიზანია, პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებს, მსმენელებს მიაწოდოს ის სახელმძღვანელო პრინციპები, რომელთა მეშვეობითაც ისინი შეძლებენ იმოქმედონ ეთიკური სტანდარტებისა და წესების შესაბამისად.

5.2 ეთიკის კოდექსის ამოცანებია:

1) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;
2) კოლეგიალური და ლოიალური გარემოს ფორმირება და დამკვიდრება;
3) პერსონალს, პროფესიულ სტუდენტებს, მსმენელებსა და სასწავლებელში მოღვაწე სხვა პირებს შორის კომუნიკაციური ბარიერების დაძლევა;
4) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე პროფესიული განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, პროფესიულ სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;
5) თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მეზღვაურების გადამზადება შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის გადამზადების, წვრთნისა და სერტიფიცირების შეთავაზება საზღვაო სპეციალისტებისათვის;
6) ურთიერთპატივისცემის წახალისება;
7) პასუხისმგებლობის ამაღლება;
8) სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ პროფესიული განათლების და მეზღვაურთა გადამზადების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი პროფესიონალი კადრების მომზადება.

5.3 ეთიკის კოდექსის სტანდარტები, ღირებულებები და ნორმები:

წინამდებარე კოდექსი ადგენს სასწავლებლის პერსონალის და პროფესიული სტუდენტების ეთიკის საერთო წესებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა.

ეთიკის საერთო წესების დარღვევად მიიჩნევა სასწავლებლის ტერიტორიაზე განხორციელებული შემდეგი ქმედებები:

1) ხელის შეშლა სასწავლო, საწვრთნელი პროცესის მიმდინარეობისთვის;
2) სასწავლებლის ქონების დაზიანება, არამიზნობრივად გამოყენება, ტერიტორიის დანაგვიანება, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა;
3) თამბაქოს მოწევა შენობაში ან საამისოდ ნებადართული ტერიტორიის მიღმა;
4) ალკოჰოლური სასმელების, ნარკოტიკული საშუალებების შეტანა, გავრცელება ან/და მოხმარება;
5) აზარტული თამაშების ორგანიზება და/ან მათში მონაწილეობის მიღება;
6) შეურაცხოფის მიყენება სხვა პირისათვის, ბილწსიტყვაობა;
7) ნებისმიერი პირის დისკრიმინაცია.

6. ბუსსს ანრის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ეთიკის ნორმები

ბუსსს ანრის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი (შემდეგში პერსონალი) ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას სასწავლებლის, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებისადმი, შექმნას სასწავლო, საწვრთნელი საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი გარემო, უნდა უფრთხილდებოდეს სასწავლებლის სახელს და მის შენობაში, თუ გარეთ, იქცეოდეს სასწავლებლის ავტორიტეტისა და დაკავებული თანამდებობის შესაფერისად. პერსონალის საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს ეთიკის, ზნეობისა და მორალის მაღალ სტანდარტებს, კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებას. უნდა გამორიცხავდეს პერსონალის, მსმენელებისა და პროფესიული სტუდენტების დისკრიმინაციას.

- **სასწავლებლის პერსონალი ვალდებულია:**

1) საკუთარი წვლილი შეიტანოს სასწავლებლის განვითარებაში;
2) შექმნას არადისკრიმინაციული გარემო სასწავლებლის პერსონალის, მსმენელებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის;
3) არ დაუშვას და თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები;
4) შექმნას სწავლა/სწავლებისათვის ხელსაყრელი პირობები და გარემო;
5) გონივრულად და კეთილსინდისიერად გამოიყენოს სამუშაო დრო;
6) ეფექტიანად და მიზნობრივად გამოიყენოს სასწავლებლის კუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;
7) არ გაამჟღავნოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია;
8) პატივისცემით მოეპყრას სასწავლებელში დასაქმებულ პირებს, მიუხედავად მათი პროფესიული გამოცდილებისა და პიროვნული თავისებურებებისა;
9) ხელი შეუწყოს კოლეგებს შორის ურთიერთნდობის ჩამოყალიბებას და აირიდოს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების გაღვივება;

10) არ დაუშვას კოლეგის დამცირება, შეურაცხყოფა, ან ანონიმურად დადანაშაულება;
11) იმოქმედოს კოლეგიალობის, პროფესიული სოლიდარობისა და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნისათვის აუცილებელი სხვა პრინციპებისა და ნორმების დაცვით;
12) არ მიიღოს პროფესიული სტუდენტისგან, მსმენელისგან ან სხვა დაინტერესებული პირისგან საჩუქარი (ქრთამი);
13) დირექტორის განკარგულებით ატაროს სასწავლებელში დაწესებული უნიფორმა (თეთრი პერანგი, (ცივ სეზონზე დაშვებულია შავი კოსტუმის ტარება), შავი ქვედაბოლო).

პერსონალის მიერ დადგენილი **ეთიკის ნორმების დარღვევის** პირველ შემთხვევაში შემოიფარგლება ზეპირი შენიშვნით; იგივე ქმედების 1 წლის განმავლობაში ჩადენის შემთხვევაში - საყვედური პირად საქმეში შეტანით; მესამე შემთხვევაში - შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა.

7. ბუსსს ანრის პროფესიული განათლების მასწავლებლის და საწვრთნელი კურსის ინსტრუქტორის ეთიკის ნორმები

პროფესიული განათლების მასწავლებლის და მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის ინსტრუქტორის ძირითადი მოვალეობაა:

1) თავისი ფუნქცია-მოვალეობები შეასრულოს მაღალი ეთიკური და ზნეობრივი ნორმების დაცვით;
2) ჩამოაყალიბოს მაღალი პროფესიული დონის სპეციალისტი, ხელი შეუწყოს მასში შრომისმოყვარეობის, საზოგადოების დანარჩენ წევრთა პატივისცემისა და კანონმორჩილების თვისებების გამომუშავებას;
3) პროფესიული ვალდებულების შესრულებისას იყოს დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი;
4) პროფესიული საქმიანობისას პროფესიულ სტუდენტებს და/ან მსმენელებს მისცეს სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის, ადამიანის უფლებების დაცვის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და გარემოს დაცვის მაგალითი;
5) პროფესიული განათლების მასწავლებელმა სასწავლო პროცესი წარმართოს სასწავლებლის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმის მიხედვით;
6) საწვრთნელი კურსის ინსტრუქტორმა საწვრთნელი პროცესი წარმართოს დამტკიცებული პროგრაემის მიხედვით;
7) დარგის, შესაბამის სფეროში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად გაანახლოს სასწავლო, მოსამზადებელი კურსის თემატიკა და სტრუქტურა, მუდმივად სრულყოფდეს მისი წარმართვის მეთოდიკას;
8) პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული ფუნქციების კომპეტენტურად შესრულებაზე და მუდმივად ზრუნავს ცოდნის განახლებასა და გაღრმავებაზე;
9) პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტებს უწევს ინტელექტუალურ და პროფესიულ ხელმძღვანელობას სასწავლებლის მიერ

დადგენილი საკონსულტაციო განრიგის შესაბამისად (პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის ნაწილი), ასევე დამატებით, პროფესიული სტუდენტის საჭიროების გათვალისწინებით; ეხმარება პროფესიულ სტუდენტს სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადალახვასა და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაში;

10) გაკვეთილზე/ლექციაზე შედის დროულად, სათანადოდ მომზადებული და ორგანიზებული, არ უშვებს გაკვეთილის/ლექციის განსაზღვრულ დრომდე დასრულების ან/და არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევებს; ეფექტურად იყენებს სწავლებისათვის, წვრთნისთვის, მომზადებისთვის განკუთვნილ დროს სასწავლო, საწვრთნელი, მოსამზადებელი პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად;
11) ქმნის პირობებს გამჭვირვალე სასწავლო, საწვრთნელ გარემოს შესაქმნელად, პროფესიულ სტუდენტებს, მსმენელებს აწვდის ამომწურავ ინფორმაციას შეფასების სისტემის შესახებ, შეიმუშავებს და ნერგავს სწავლებისა და შეფასების ისეთ მეთოდებს, რაც გამორიცხავს პლაგიატს;
12) აღიარებს და იცავს ინტელექტუალურ საკუთრებას, მათ საავტორო უფლებებს;
13) იცავს კონფიდენციალობას პროფესიული სტუდენტების, მსმენელების, კოლეგებისა თუ სწავლების, მომზადების პროცესში ჩართული სხვა პირების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
14) იჩენს თანაბარ (არაფამილიარულ) ყურადღებას ყველა პროფესიული სტუდენტის, მსმენელის მიმართ განურჩევლად სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის ან სხვა ნიშნისა; ზრუნავს, რომ ყველა პროფესიულმა სტუდენტმა, მსმენელმა მიიღოს ხარისხიანი განათლება, მიუხედავად მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობისა;
15) პატივს სცემს პროფესიულ სტუდენტთა, მსმენელთა აზრებს, უქმნის მათ ყველა პირობას იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატავად; ხელს უწყობს განსხვავებული აზრის პატივისცემის კულტურის დამკვიდრებას;
16) თავისუფალია რელიგიური მრწამსის არჩევაში, ამავე დროს პატივს სცემს განსხვავებულ შეხედულებებს; არ ეწევა პროფესიულ სტუდენტებთან რელიგიურ და პოლიტიკურ პროპაგანდას;
17) არ იყენებს პროფესიულ ან ინსტიტუციურ პრივილეგიებს პირადი მიზნებისათვის;
18) არ იღებს პროფესიული სტუდენტისაგან, მსმენელისგან საჩუქარს ან სხვა სახის სარგებელს შეფასებისა თუ მისთვის სხვა უპირატესობის მინიჭების სანაცვლოდ;
19) არ იყენებს პროფესიული სტუდენტის, მსმენელის ფიზიკურ და ინტელექტუალურ შრომას ან პოტენციალს პირადი მიზნებისათვის;
20) არ აყენებს პროფესიულ სტუდენტს, მსმენელს რაიმე სახის შეურაცხყოფას; მათთან ურთიერთობისას იცავს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებს;
21) ინარჩუნებს სიმშვიდეს კონფლიქტურ სიტუაციებში, ისმენს პროფესიულ სტუდენტთა, მსმენელთა აზრს და იღებს ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებებს;

22) მეტყველებს სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით;
23) უფრთხილდება სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, იყენებს დანიშნულებისამებრ და გამორიცხავს რესურსების გამოყენებას თვითნებურად, პირადი მიზნებისათვის;
24) უფრთხილდება სასწავლებლის რეპუტაციასა და პრესტიჟს;
25) სასწავლებლის სახელით საჯარო განცხადების/კომენტარის გაკეთების შემთხვევაში იცავს ეთიკის კოდექსსა და სხვა პირთა უფლებებს. თუ განცხადება/კომენტარი არ არის დაკავშირებული პროფესიულ საქმიანობასთან, სავალდებულოდ აღნიშნავს, რომ განცხადება/კომენტარი გამოხატავს მის პირად პოზიციას;
26) პროფესიულ სტუდენტებთან, მსმენელბთან ურთიერთობას წარმართავს ისეთი ფორმით, რაც საფრთხეს არ უქმნის პროგრამის განმახორციელებელი პირის მიერ პროფესიული სტუდენტის სწავლის, მსმენელის მომზადების შედეგის ობიექტურ და სამართლიან შეფასებას.
27) გამოავლენს აკადემიური არაკეთილსინდისიერების (სიყალბის/პლაგიატის) შემთხვევას (არსებობის შემთხვევაში) კომპეტენციის ფარგლებში იკვლევს გამომწვევ მიზეზს და იღებს შესაბამის ზომებს მსგავსი ქმედებების აღსაკვეთად.
28) ვალდებულია ხელი შეუწყოს ბუსსს ანრის საქმიანობის განვითარებასა და პოპულარიზაციას, კოლეგებთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან კეთილგანწყობილი ურთიერთობების დამკვიდრებას, ამისათვის:
    - ✓ აქტიურად მონაწილეობს სასწავლებლის საზოგადოებრივ საქმიანობაში;
    - ✓ არ ერთვება ისეთ საქმიანობაში, რაც ხელს შეუშლის სასწავლებლის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებას;
    - ✓ პატივისცემით ეპყრობა დამხმარე პერსონალს და დაწესებულებაში დასაქმებულ სხვა პირებს, მიუხედავად მათი პროფესიული გამოცდილებისა და პიროვნული თავისებურებებისა;
    - ✓ ხელს უწყობს კოლეგებს შორის ურთიერთნდობის ჩამოყალიბებას და თავს არიდებს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების გაღვივებას;
    - ✓ კოლეგის მიერ გამოყენებული სწავლის და წვრთნის მეთოდების შეფასებისას არის კორექტული;
    - ✓ გამორიცხავს კოლეგის დამცირებას, შეურაცხყოფას, ან ანონიმურად დადანაშაულებას;
    - ✓ მოქმედებს კოლეგიალობის, პროფესიული სოლიდარობისა და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნისათვის აუცილებელი სხვა პრინციპებისა და ნორმების დაცვით

ბუსსს ანრის **ეთიკის კოდექსის უხეშ დარღვევად ჩაითვლება** პროფესიული განათლების მასწავლებლის და/ან ინსტრუქტორის შემდეგი ქმედება:

1) პროფესიული სტუდენტის, მსმენელის შესაძლებლობის პირადი სარგებლის მიზნით გამოყენება;

2) პროფესიული სტუდენტისგან, მსმენელისგან სასწავლებელში დასაქმებულისგან ან სხვა დაინტერესებული პირისგან საჩუქრის/თანხის მიღება სარგებლის სანაცვლოდ ან პირიქით.

ბუსსს ანრის **ეთიკის კოდექსის დარღვევის გამო** პროფესიული განათლების მასწავლებლის, ინსტრუქტორის პასუხიმგებლობის სახესა და ზომას კონკრეტული დარღვევის შინაარსის, ხასიათისა და გარემოების გათვალისწინებით, შინაგანაწესის საფუძველზე, განსაზღვარვს სასწავლებლის ადმინისტრაცია.

8. ბუსსს ანრის პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის ეთიკის ნორმები

8.1 წინამდებარე კოდექსი ადგენს პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის ეთიკის საერთო წესებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა სასწავლებლის თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის და მსმენელისთვის.

8.2 ეთიკის საერთო წესების დარღვევად მიიჩნევა სასწავლებლის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ (თუ ქმედება განხორციელებულია სასწავლებლის პროფესიული სტუდენტების და მსმენელების მიერ ორგანიზებულ აკადემიურ ან სხვა ღონისძიებაზე) განხორციელებული შემდეგი ქმედებები:

ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა;
ბ) თამბაქოს/ელექტრო სიგარეტის მოწევა სასწავლებელის შენობაში ან საამისოდ ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;
გ) ალკოჰოლური სასმელების, ნარკოტიკული საშუალებების შეტანა, გავრცელება ან/და მოხმარება სასწავლებელის ტერიტორიაზე, თუ ღონისძიება სპეციალურად არ არის ორგანიზებული ან ნებადართული სასწავლებელის მიერ;
დ) აზარტული თამაშების ორგანიზება ან მათში მონაწილეობის მიღება;
ე) სასწავლებელის ტერიტორიის დანაგვიანება;
ვ) სასწავლებელის სახელის, პატივის ან საქმიანი რეპუტაციას შელახვა, სასწავლებელის ქონების დაზიანება;
ზ) დემონსტრატიული ბილწსიტყვაობა;
თ) სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა პირისათვის;
ი) სხვა პირის მიმართ ძალადობა ან მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება;
კ) ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა, გავრცელება ან/და გამოყენება;
ლ) „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ცეცხლსასროლი/ცივი იარაღის შეტანა, გამოყენება, სხვისთვის გადაცემა;
მ) ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შეტანა, გამოყენება, გავრცელება ან სხვისთვის გადაცემა, რომლებიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;
ნ) სხვა პირზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, დაშინება ან მორალური ზემოქმედება.

ო) სხვა პირის დისკრიმინაცია (დისკრიმინაციად ითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით,);

პ) სხვა პროფესიული სტუდენტის ან/და მსმენელის საკუთრების ხელყოფა, დაზიანება ან განადგურება, ასევე, სხვა პროფესიულის სტუდენტის ან მსმენელის საკუთრების უფლების რაიმე სახით შეზღუდვა, მათ შორის, ნივთის დაუფლება და ფაქტობრივი ფლობა მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, ნივთის მოტყუებით გამორთმევა ან გამოძალვა, ან ნივთის ბედის სხვაგვარი გადაწყვეტა, ასევე ზემოაღნიშნულ ქმედებათა მცდელობა, მათ შორის, ჩადენილი მოტყუებით ან მუქარით.

ჟ) აკადემიური თაღლითობა (გადაწერა სხვა პროფესიულის სტუდენტის ნამუშევრიდან, ან ნებისმიერი სახის წინასწარ მომზადებული დამხმარე მასალის, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომელიც არ არის ნებადართული, როგორც სასწავლებელის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ);

რ) პლაგიატი (სრულად ან ნაწილობრივ სხვისი ნამუშევრის გადაწერა ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე; სხვა პირის წერილობითი სასწავლო, შეფასების მასალის ან მისი ნაწილის საკუთრად გასაღება);

ს) სხვა პროფესიულის სტუდენტისათვის ან მსმენელისათვის ხელის შეშლა სწავლისა და/ან წვრთნის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით; სხვა პროფესიულის სტუდენტის ან/და მსმენელის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა;

ტ) სხვა პროფესიულის სტუდენტისათვის ან მსმენელისათვის აკადემიური თაღლითობის ჩადენაში ხელის შეწყობა;

უ) ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად გასაღება;

ფ) იდენტობის გაყალბების საშუალებით, სხვა პირთან გარიგება გამოცდის ჩაბარების მიზნით;

ქ) საგამოცდო მასალების, მათ შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება, ასევე ჩაბარებული წერილობითი ნამუშევრის უნებართვოდ ჩანაცვლება; ასევე, გამოცდის მიმდინარეობისას საგამოცდო დავალების ჩანაცვლება.

ღ) სასწავლებლის ადმინისტრაციული ან სასწავლო მონაცემების გაყალბება, ხელოვნური ცვლილება, ან მათი უკანონო გამოყენება;

ყ) პროფესიული განათლების მასწავლებელზე, ინსტრუქტორზე, შემფასებელზე, გამომცდელზე, სასწავლებლის თანამშრომელზე ზეწოლა შეფასების მიღების მიზნით;

შ) სასწავლებელში წარსადგენი დოკუმენტის გაყალბება ან დოკუმენტების

არასრულად წარდგენა.

9. პასუხისმგებლობა პროფესიული სტუდენტის, მსმენელის მიერ ეთიკის ნორმების დარღვევისათვის

1) ამ კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენის გამო პროფესიული სტუდენტის და/ან მსმენელის პასუხისმგებლობის სახესა და ზომას კონკრეტული დარღვევის შინაარსის, ხასიათისა და გარემოებების გათვალისწინებით, განსაზღვრავს ეთიკის საბჭო.
2) ამ კოდექსის 8.2(ა) „სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა“, 8.2(ზ) „დემონსტრატიული და უხეში ბილწსიტყვაობა“ და 8.2(თ) „სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა პირისათვის“ პუნქტებში აღნიშნული ქმედებების ჩადენისას ეთიკის საბჭო იღებს პროფესიულის სტუდენტის და/ან მსმენელის წერილობითი გაფრთხილების გადაწყვეტილებას, რომელსაც გადასცემს პროფესიულის სტუდენტთა, მსმენელთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილებას, პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის შესახებ არსებულ ჩანაწერებში (მსმენელის შემთხვევაში ჩანაწერის) რეგისტრაციის მიზნით. იგივე ქმედების 1 წლის განმეორების შემთხვევაში ან დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, ეთიკის საბჭო იღებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ან მსმენელის კურსებზე არ დაშვების გადაწყვეტილებას.
3) ამ კოდექსის 8.2(ე) პუნქტით „სასწავლებლის ტერიტორიის დანაგვიანება“ გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას სასწავლებელის ადმინისტრაცია აკისრებს ჯარიმას - 10 ლარის ოდენობით.
4) ამ კოდექსის 8.2(ბ) პუნქტით „თამბაქოს/ელექტრო სიგარეტის მოწევა სასწავლებელის შენობაში ან საამისოდ ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ“ გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას სასწავლებელის ადმინისტრაცია პროფესიულს სტუდენტს ან მსმენელს აკისრებს ჯარიმას - 50 ლარის ოდენობით. ასევე, სასწავლებლის ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს პროფესიულის სტუდენტის ან მსმენელის წერილობითი გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება, რომელსაც გადასცემს სტუდენტთა, მსმენელთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილებას პროფესიულის სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის შესახებ არსებულ სასწავლო ჩანაწერებში (სტუდენტის ან მსმენელის მიერ სასწავლო პროცესში დაგროვილი მონაცემების ერთობლიობა, რომელიც ასახავს მის წინსვლას, შეფასებებს, დასწრებას, შესრულებულ დავალებებსა და სასწავლო პროგრამის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს) რეგისტრაციის მიზნით.
5) ამ კოდექსის 8.2(გ) პუნქტით „ალკოჰოლური სასმელების შეტანა, გავრცელება ან/და მოხმარება სასწავლებელის ტერიტორიაზე, თუ ღონისძიება სპეციალურად არ არის ორგანიზებული ან ნებადართული სასწავლებელის მიერ“ გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას სასწავლებლის ადმინისტრაცია პროფესიულის სტუდენტს ან/და მსმენელს აკისრებს ჯარიმას - 50 ლარის ოდენობით. ასევე, სასწავლებლის ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს პროფესიული სტუდენტის ან/და მსმენელის წერილობითი გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება, რომელსაც გადასცემს ბუსსს ანრის სტუდენტთა,

მსმენელთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილებას პროფესიულის სტუდენტის ან მსმენელის შესახებ არსებულ აკადემიურ ჩანაწერებში (მსმენელის შემთხვევაში ჩანაწერის) რეგისტრაციის მიზნით.

6) ამ კოდექსის 8.2(დ) პუნქტით „აზარტული თამაშების ორგანიზება ან მათში მონაწილეობის მიღება“ გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას სასწავლებელის ადმინისტრაცია პროფესიულ სტუდენტს ან მსმენელს აკისრებს ჯარიმას - 100 ლარის ოდენობით. ასევე, სასწავლებელის ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის წერილობითი გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება, რომელსაც გადასცემს ბუსსს ანრის სტუდენტთა, მსმენელთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილებას პროფესიულის სტუდენტის ან მსმენელის შესახებ არსებულ აკადემიურ ჩანაწერებში (მსმენელის შემთხვევაში ჩანაწერის) რეგისტრაციის მიზნით.

7) ამ კოდექსის 8.2(ვ) პუნქტით „სასწავლებელის სახელის, პატივის ან საქმიანი რეპუტაციას შელახვა, სასწავლებელის ქონების დაზიანება“ გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას სასწავლებელის ეთიკის საბჭო განსაზღვრავს და პროფესიულის სტუდენტს და/ან მსმენელს აკისრებს მიყენებული ზიანის პროპორციულ ჯარიმას. ამასთან, პროფესიულის სტუდენტი, მსმენელი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს დაზიანებული საკუთრების ღირებულება. ასევე, სასწავლებელის ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს პროფესიულის სტუდენტის და/ან მსმენელის წერილობითი გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება, რომელსაც გადასცემს ბუსსს ანრის სტუდენტთა, მსმენელთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილებას პროფესიულის სტუდენტის ან/და მსმენელის შესახებ არსებულ აკადემიურ ჩანაწერებში (მსმენელის შემთხვევაში ჩანაწერის) რეგისტრაციის მიზნით.

8) ამ კოდექსის 8.2(ი) პუნქტით „სხვა პირის მიმართ ძალადობა ან მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება“ გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას: სასწავლებლის ადმინისტრაცია აღნიშნულ ფაქტს ატყობინებს პოლიციას და დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
   ა) პროფესიულ სტუდენტს ან/და მსმენელს მისცეს წერილობითი გაფრთხილება;
   ბ) პროფესიულ სტუდენტს ან/და მსმენელს დააკისროს ჯარიმა - 200 ლარამდე ოდენობით;

9) ამ კოდექსის 8.2(კ) „ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა, გავრცელება ან/და გამოყენება“, 8.2(ლ) „ცეცხლსასროლი/ცივი იარაღის შეტანა, გამოყენება, სხვისთვის გადაცემა“ და 8.2(მ) „ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შეტანა, გამოყენება, გავრცელება ან სხვისთვის გადაცემა, რომლებიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის“ პუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას სასწავლებელის ადმინისტრაცია აღნიშნულ ფაქტს ატყობინებს პოლიციას და პროფესიულის სტუდენტს ან/და მსმენელს აძლევს წერილობითი გაფრთხილებას;

10) ამ კოდექსის 8.2(ნ) „სხვა პირზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, დაშინება ან მორალური ზემოქმედება“, 8.2(ო) „სხვა პირის დისკრიმინაცია“ და 8.2(პ) „პროფესიულის სტუდენტის ან/და მსმენელის საკუთრების ხელყოფა, დაზიანება ან განადგურება, ასევე, სხვა პროფესიულის სტუდენტის ან/და მსმენელის საკუთრების უფლების რაიმე სახით შეზღუდვა, მათ შორის, ნივთის დაუფლება და ფაქტობრივი ფლობა მესაკუთრის ნების

საწინააღმდეგოდ, ნივთის მოტყუებით გამორთმევა ან გამოძალვა, ან ნივთის ბედის სხვაგვარი გადაწყვეტა“ პუნქტებით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებისას ეთიკის საბჭო იღებს პროფესიული სტუდენტის ან/და მსმენელის წერილობითი გაფრთხილების გადაწყვეტილებას, რომელსაც გადასცემს ბუსსს ანრის სტუდენტთა, მსმენელთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილებას პროფესიულის სტუდენტის ან მსმენელის შესახებ არსებულ აკადემიურ ჩანაწერებში (მსმენელის შემთხვევაში ჩანაწერის) რეგისტრაციის მიზნით.

11) ამ კოდექსის 8.2(ჟ) „აკადემიური თაღლითობა“, 8.2(ფ) „იდენტობის გაყალბების საშუალებით, სხვა პირთან გარიგება გამოცდის ჩაბარების მიზნით“, 8.2(ღ) „სასწავლებლის მონაცემების (აკადემიური/ადმინისტრაციული) გაყალბება ან/და გამოყენება“, 8.2(ქ) „საგამოცდო მასალების, მათ შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება, ჩაბარებული წერილობითი ნამუშევრის უნებართვოდ ჩანაცვლება, ასევე გამოცდის მიმდინარეობისას საგამოცდო დავალების ჩანაცვლება“ პუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას პროფესიულის სტუდენტს შესაბამის მოდულში ეწერება შეფასება „F“, მსმენელს შესაბამის სასწავლო კურსში ეწერება „არ ჩაეთვალა“, ხოლო სასწავლებლის ეთიკის საბჭო იღებს პროფესიული სტუდენტის ან/და მსმენელის წერილობითი გაფრთხილების გადაწყვეტილებას, რომელსაც გადასცემს ბუსსს ანრის სტუდენტთა, მსმენლთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილებას პროფესიულის სტუდენტის ან/და მსმენელის შესახებ არსებულ აკადემიურ ჩანაწერებში (მსმენელის შესახებ ჩანაწერში) რეგისტრაციის მიზნით. იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში, ეთიკის საბჭო იღებს პროფესიულის სტუდენტის ან მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილებას. ეთიკის საბჭო უფლებამოსილია დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით მიიღოს პროფესიულის სტუდენტის ან/და მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება.

12) ამ კოდექსის 8.2(რ) „პლაგიატი“ და 8.2(უ) „ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად გასაღება“ პუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას პროფესიულის სტუდენტს შესაბამის მოდულში ეწერება შეფასება „F“, მსმენელს შესაბამის სასწავლო კურსში ეწერება „არ ჩაეთვალა“, ხოლო ეთიკის საბჭო იღებს პროფესიულის სტუდენტის ან/და მსმენელის წერილობითი გაფრთხილების გადაწყვეტილებას, რომელსაც გადასცემს ბუსსს ანრის სტუდენტთა, მსმენლთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილებას, პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის შესახებ არსებულ აკადემიურ ჩანაწერებში (მსმენელის შესახებ ჩანაწერში) რეგისტრაციის მიზნით. იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში, ეთიკის საბჭო იღებს პროფესიულის სტუდენტის ან/და მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილებას. ეთიკის საბჭო უფლებამოსილია დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით მიიღოს პროფესიულის სტუდენტის ან/და მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება.

13) ამ კოდექსის 8.2(ს) პუნქტით “სხვა პროფესიულის სტუდენტისათვის ან მსმენელისათვის ხელის შეშლა სწავლისა და/ან წვრთნის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით; სხვა პროფესიულის სტუდენტის ან/და მსმენელის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა“ გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას

ეთიკის საბჭო იღებს პროფესიულის სტუდენტის ან/და მსმენელის წერილობითი გაფრთხილების გადაწყვეტილებას, რომელსაც გადასცემს ბუსსს ანრის სტუდენტთა, მსმენლთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილებას, პროფესიული სტუდენტის ან/და მსმენელის შესახებ არსებულ აკადემიურ ჩანაწერებში (მსმენელის შესახებ ჩანაწერში) რეგისტრაციის მიზნით. იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში, ეთიკის საბჭო იღებს პროფესიულის სტუდენტის ან/და მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილებას. ეთიკის საბჭო უფლებამოსილია დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით მიიღოს პროფესიული სტუდენტის ან/და მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება.

14) ამ კოდექსის 8.2(ტ) „სხვა პროფესიულის სტუდენტისათვის ან/და მსმენელისთვის აკადემიური თაღლითობის ჩადენაში ხელის შეწყობა“, 8.2(ყ) „პროფესიული განათლების მასწავლებელზე, ინსტრუქტორზე, შემფასებელზე, გამომცდელზე, სასწავლებლის თანამშრომელზე ზეწოლა შეფასების მიღების მიზნით“ პუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას ეთიკის საბჭო იღებს პროფესიულის სტუდენტის ან/და მსმენელის წერილობითი გაფრთხილების გადაწყვეტილებას, რომელსაც გადასცემს ბუსსს ანრის სტუდენტთა, მსმენლთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილებას, პროფესიული სტუდენტის ან/და მსმენელის შესახებ არსებულ აკადემიურ ჩანაწერებში (მსმენელის შესახებ ჩანაწერში) რეგისტრაციის მიზნით. იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში, ეთიკის საბჭო იღებს პროფესიულის სტუდენტის ან/და მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილებას. ეთიკის საბჭო უფლებამოსილია დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით მიიღოს პროფესიულის სტუდენტის ან/და მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება.

15) ამ კოდექსის 8.2(შ) პუნქტით „სასწავლებელში წარსადგენი დოკუმენტის გაყალბება“ გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას სასწავლებელის ადმინისტრაცია, ან შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო, აუქმებს ასეთ დოკუმენტზე დაყრდნობით მიღებულ გადაწყვეტილებას. ეთიკის საბჭო იღებს პროფესიულის სტუდენტის ან/და მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ხოლო სასწავლებლის ადმინისტრაცია მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს დოკუმენტის გაყალბებასთან დაკავშირებული საკითხის შესწავლის მოთხოვნით.

16) პასუხისმგებლობის სახით ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში, პროფესიულის სტუდენტი ან/და მსმენელი ვალდებულია მისთვის ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში დაკისრებული ჯარიმის შესატყვისი თანხა გადარიცხოს სასწავლებელის საბანკო ანგარიშზე.

10. პასუხისმგებლობა ეთიკის დარღვევისათვის

1) ბუსსს ანრის ეთიკის კოდექსის დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის, სასწავლებლის შინაგანაწესისა და წინამდებარე კოდექსის შესაბამისად.
2) დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების შესახებ საკითხის აღძვრის უფლება აქვს სასწავლებლის ყოველ თანამშრომელს (საშტატო თანამშრომელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, ინსტრუქტორი), პროფესიულ სტუდენტს, მსმენელს.

3) ეთიკის კოდექსის დარღვევაზე რეაგირების მიზნით ბუსსს ანრის დირექტორის ბრძანებით, 3 წლის ვადით, იქმნება ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისია (ეთიკის საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:
   - ✓ დირექტორი (მუდმივმოქმედი)
   - ✓ ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური უფროსი (მუდმივმოქმედი)
   - ✓ სასწავლო პროცესის მენეჯერი (მუდმივმოქმედი)
   - ✓ იურიდიული განყოფილების უფროსი (მუდმივმოქმედი)
   - ✓ პროფესიული განათლების მასწავლებელი (არანაკლებ 5 პროფესიული განათლების მასწავლებელის წარდგინებით),
   - ✓ პროფესიულის სტუდენტი (არანაკლებ 30 აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე პირის წარდგინებით)
   - ✓ საწვრთნელი კურსის ინსტრუქტორი (არანაკლებ 2 ინსტრუქტორის წარდგინებით).

4) კომისია საქმიანობა წარიმართება წინამდებარე კოდექსით და სასწავლებლის შინაგანაწესით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.
5) ამ კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის გამო დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს ეთიკის საბჭო.
6) დისციპლინური წარმოების განხორციელებისას პერსონალს, პროფესილის სტუდენტს და მსმენელს უფლება აქვს:
   - **ა)** წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;
   - **ბ)** დაესწროს მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას, ისარგებლოს დაცვის უფლებით;
   - **გ)** მიაწოდოს ეთიკის საბჭოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
   - **დ)** მონაწილეობა მიიღოს ეთიკის საბჭოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;
   - **ე)** მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯაროდ და განსაზღვროს პირები, რომელთა სხდომაზე მონაწილეობა მიაჩნია მართებულად.
   - **ვ)** სასამართლოში გაასაჩივროს სასწავლებლის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

7) ეთიკის საბჭო უფლებამოსილია:
   - **ა)** მოსთხოვოს პერსონალს, პროფესიულ სტუდენტს, ან/და მსმენელს საკუთარი მოქმედების ზეპირი ან/და წერილობითი აღწერა და განმარტება;
   - **ბ)** მრავალმხრივ და სრულყოფილად გამოიკვლიოს წარდგენილი ინფორმაცია, მტკიცებულებები, გარემოებები;
   - **გ)** ამ კოდექსით გათვალისწინებული დარღვევისათვის პერსონალს, პროფესიულის სტუდენტს, ან/და მსმენელს შეუფარდოს შესაბამისი პასუხისმგებლობის სახე და ზომა.

8) დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილებას ხელს აწერს ბუსსს ანრის დირექტორი, რომელიც უფლებამოსილია არ დაეთანხმოს ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილებას და უკან დაუბრუნოს საკითხი განსახილველად.
9) დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს სასწავლებელს. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობით და სასწავლებლის ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს.
10) ამ კოდექსში აღნიშნული შემთხვევების გარდა, სასწავლებლის ეთიკის საბჭო უფლებამოსილია განიხილოს და პერსონალს, პროფესიულის სტუდენტს, ან/და მსმენელს დააკისროს ამ კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ზომა, ისეთი ქმედების ჩადენის შემთხვევაში, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებას განეკუთვნება.

11. პერიოდული შემოწმების ფურცელი

№	პერიოდული შემოწმების თარიღი	შემოწმების ჩამტარებებლი პირის გვარი, ინიციალები და თანამდებობა	ხელმოწერა	შესწორებას ექვემდებარება პუნქტი

12. გაცნობის ფურცელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	გაცნობის ვადა	გაცნობის თარიღი	ხელმოწერა
1	ნათია დიასამიძე	ადამიანური რესურსების მენეჯერი	30.01.2024		
2	სოფიკო მამულაძე	ბუღალტერი	30.01.2024		
3	მინდია თავართქილაძე	შინაგანწესისა და ვახტის უზრუნველყოფის უფროსი	30.01.2024		
4	ომარი დიასამიძე	პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვის და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	30.01.2024		
5	მარიამ დიასამიძე	საქმისმწარმოებელი	30.01.2024		
6	მზია დუმბაძე	არქივარიუსი	30.01.2024		
7	ჟუჟუნა დიასამიძე	ბიბლიოთეკარი	30.01.2024		
8	მალვინა ურუშაძე	ბიბლიოთეკის გამგე	30.01.2024		
9	ირაკლი გოგიტიძე	შესყიდვების და სამეურნეო განყოფილების უფროსი	30.01.2024		
10	ბადრი ბერიძე	ს/გ „კაპ. ო.ჩახვაძე“ კაპიტანი	30.01.2024		
11	ბადრი გიორგაძე	ს/გ „კაპ. ო.ჩახვაძე“ უფროსი მექანიკოსი	30.01.2024		
12	ირაკლი ბეჟნიძე	IT ოპერატორი	30.01.2024		
13	ანა მუშამბაძე	პიარ-მენეჯერი	30.01.2024		
14	თამთა ჩხეიძე	საქმისმწარმოებელი	30.01.2024		
15	სოფიკო მამულაძე	მთ.ბუღალტერი	30.01.2024		
16	მაია დავითიანი	სასწავლო პროცესის მენეჯერი	30.01.2024		
17	მონიკა დიასამიძე	წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის საქმისმწარმოებელი	30.01.2024		
18	თამილა მიქელაძე	ექთანი	30.01.2024		
19	ზურაბ დიასამიძე	შესყიდვების სპეციალისტი	30.01.2024		
20	ნინო ნაკაშიძე	პროფ.სტუდ. თანამშრომ, მსმენელებთან ურთიერთ განყოფილების უფროსი	30.01.2024		
21	იური მედინცევი	ს/გ „კაპ. ო.ჩახვაძე“ ბოცმანი	30.01.2024		
22	ნაკაიძე ედგარი	ს/გ „კაპ. ო.ჩახვაძე“ მოტორისტი	30.01.2024		

23	ალექსანდრე ხინველი	საამქროების უფროსი	30.01.2024		
24	ია კახიძე	ინსტრუქტორი	30.01.2024		
25	მურად ნინიძე	ელექტრიკოსი	30.01.2024		
26	მიქელაძე გულიკო	დამლაგებელი	30.01.2024		
27	მზევინარ ბერიძე	დამლაგებელი	30.01.2024		
28	არჩილ ნაკაშიძე	ინსტრუქტორი	30.01.2024		
29	აკაკი ესანჯია	ინსტრუქტორი	30.01.2024		
30	მირანდა ჭინკაძე-ბაბუნაშვილი	ინსტრუქტორი	30.01.2024		
31	რუსლან დიასამიძე	ინსტრუქტორი	30.01.2024		
32	ნოდარ აბუსელიძე	ინსტრუქტორი	30.01.2024		
33	ლავრენტი სეიდიშვილი	ინსტრუქტორი	30.01.2024		
34	ედუარდ დანელიანი	ინსტრუქტორი	30.01.2024		
35	ლონდა მიქელაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	30.01.2024		
36	თამაზ თებიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	30.01.2024		
37	ნინო ჯაყელი	პროფესიული განათლების მასწავლებელი	30.01.2024		
38	ანზორ შარაშიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	30.01.2024		
39	ამირან ფუტკარაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	30.01.2024		
40	თეიმურაზ შამილაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	30.01.2024		
41	თემურ ბერიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	30.01.2024		
42	ალიკო ბარამიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	30.01.2024		
43	თენგიზ კონცელიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	30.01.2024		
44	ედგარ ნაკაიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	30.01.2024		
45	თამარ გუჩმანიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	30.01.2024		
46	დარეჯან ასამბაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	30.01.2024		
47	ირაკლი ბეჟანიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	30.01.2024		

48	ინგა სურმანიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	30.01.2024		

14. შეთანხმების ფურცელი

ნაწილი 1. დოკუმენტის იდენთიფიკაცია, შემთანხმებელი პირი

1.1 შესათანხმებელი დოკუმენტის დასახელება, №

ეთიკის კოდექსი

Code of Ethics

ნდ № 2-010118

1.2 შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი:
იურიდიული განყოფილების უფროსი გიორგი დიასამიძე

1.3 შემსრულებელი _____ _____\

ნაწილი 2. შეთანხმება

№	შემთანხმებლის თანამდებობა	ხელმოწერა	შეთანხმების რიცხვი	შეთანხმების დრო	შენიშვნა
1	ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძე				
2	პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი დავით ჩხაიძე				
3	მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი ვლადიმერ ბოგდანოვი				

დოკუმენტი შესათანხმებლად წარადგინა _____ _____ _____
ხელმოწერა გვარი, სახელი თარიღი